საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №2

ქ. თბილისი

28 მარტი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე **მ. ამირანაშვილი.** საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი **ზ. პაპიძე.** საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს სამეურნეო უზრუნველყოფისა და მატერიალური რესურსების მართვის სამმართველოს შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ორგანიზების და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის უფროსი **ვ. კევლიშვილი.** გენერალური ინსპექციის დისციპლინური დევნის სამმართველოს ფინანსური დარღვევების შემოწმების განყოფილების უფროსი **ა. ცაგარელი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხარაგაულის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №373 კონკურსზე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების პაკეტის გახსნა/განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა.

№373 – კონკურსზე საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა მონაწილემ შ.პ.ს. "მშენ-ექსპერტი"-მ წინადადების ღირებულებით 4500.00 (ოთხი ათას ხუთასი) ლარი.

საკონკურსო კომისიამ განიხილა შ.პ.ს. "მშენ-ექსპერტი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და საპროექტო სამუშაოს რენდერები, რომლებიც შესაბამისობაშია საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ხოლო რენდერების ვიზუალური მხარე მისაღებია.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. შ.პ.ს. "მშენ-ექსპერტი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია შეესაბამება კონკურსით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოვლინდა №373 კონკურსზე შ.პ.ს. "მშენ-ექსპერტი".
3. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მომზადება.
4. დაევალოს შესყიდვების სამმართველოს წინამდებარე ოქმის და ხელშეკრულების კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის გადაგზავნა ერთიან ელექტრონულ სისტემაში განსათავსებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე — მ. ამირანაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები — ზ. პაპიძე

ა. ცაგარელი

ვ. კევლიშვილი